საზოგადოებრივი გეოგრაფია

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი
საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი
PhD in Human Geography

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
იოსებ სალუქვაძე

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი
საზოგადოებრივ გეოგრაფიაში საფუძვლიანი და სისტემური ცოდნის ჩამოყალიბება, მეცნიერების განვითარებაში წვლილის შეტანა, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევების სრულყოფა.

საზოგადოებრივ გეოგრაფიაში სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

- სადოქტორო პროგრამის მონაწილეების მაღალი დონის მეცნიერებად და პედაგოგებად ჩამოყალიბებას.
- მეცნიერული კვლევის საფუძველზე სრულყოფილი სამეცნიერო ნაშრომების შესრულებას და ამის საფუძველზე მათი როლის ამაღლებას საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებასა და სრულყოფაში.

წარმოდგენილ პროგრამაში ყურადღება ეთმობა დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებას და ასევე მის პედაგოგიური საქმიანობაში დახელოვნებას, კერძოდ დოქტორანტი:

- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევითი პროექტების განხორციელებას ყველა ეტაპზე: ლიტერატურის და პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება და განზოგადება; მონაცემთა ანალიზი; შედეგების ინტერპრეტაცია; დასკვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.
- ვალდებულია მოამზადოს სამეცნიერო სტატიები და გამოქვეყნოს ისინი ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში; ჩაატაროს სამეცნიერო კოლოკვიუმები. სასურველია მონაწილება მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში და ჩაატაროს კვლევების შედეგების პრეზენტაცია.
- მონაწილეობს ფაკულტეტის (მიმართულების) აკადემიურ პროცესში, კერძოდ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სემინარების წარმართვაში.

სადოქტორო პროგრამის ამოცანებია შემდეგი კომპეტენციების შეძენა:

კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმოება:

⇒ *პრობლემის დასმა, კვლევისათვის სამუშაო ჰიპოთეზების ჩამოყალიბება;*

⇒ *კვლევის დაგეგმვა და ორგანიზება;*

⇒ *სამეცნიერო ლიტერატურის და პირველადი სტატისტიკური მასალების მოძიება და განზოგადება;*
⇒ *შედეგების ანალიზი;*
⇒ *დასკვნების შემუშავება;*
⇒ *სამეცნიერო კვლევის შედეგების პრეზენტაცია (სტატიები, მოხსენებები, სადისერტაციო ნაშრომი).*

პროგრამის შედეგი

სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ სპეციალისტს უნდა შეეძლოს:

- საზოგადოებრივი გეოგრაფიის სფეროში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა, შედეგების წარმოდგენა საჯარო პრეზენტაციების და სამეცნიერო ნაშრომების სახით;
- სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა და მისი წარმართვა, ასევე სალექციო კურსის (კურსების) მომზადება სახელმძღვანელოს სახით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდგომ დოქტორანტს შეეძლება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარმართვა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სტრუქტურებში დამოუკიდებელი ანალიტიკურ-თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, ნებისმიერი დონის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება და პროფესიული წვრთნა.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლების მსურველებს მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა გეოგრაფიულ, სოციალურ ან პოლიტიკურ მეცნიერებებში, ასევე ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.